სარეკლამო-საინფორმაციო ბიულეტენი № 4 დეკემბერი, 2017

აკადემიის მაცნე

ელ-ფოსტა:
acad.as@gaas.dsl.ge
conference.gaas@yahoo.com
ვებ-საიტი:
www.gaas.dsl.ge

თბილისი, 0102, ივანე ჯავახიშვილის ქ. №51 ტ. 2-94-13-20

ცვალე ამ ხნია ჰქვიდეს დღევანდელს, თუ კაცს პატარსი,
წინწკლა დაბიანმა თუჩ სიცქვად ამ მიაჩნია
ილია ჭავჭავაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოში

გაზეთი "აკადემიის მაცნე", რომელიც გამოდის კვარტალში ერთხელ, სისტემატიურად აშუქებს აკადემიის საქმიანობას, აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილულ ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებს, თანამედროვე საინტერესო მოვლენებსა და მათდამი მიდგომებს, მოწინავე გამოცდილებასა და ტექნოლოგიებს და სხვ. გაზეთში ასევე ყურადღება ეთმობა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივებს.

ამგვარად გაზეთის ფურცლებზე შუქდება აკადემიის აკადემიური საბჭოს მოკლე ანგარიში ყოველ კვარტალში ჩატარებული საქმიანობის შესახებ. ვფიქრობთ იგი კარგი სარეკლამო – საინფორმაციო საშუალებაა აკადემიის საქმიანობის ობიექტურად შეფასებისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გურამ ალექსიძე

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია 60 წლისთავს თვალსაჩინო მიღწევებით ეგებება

საქართველოში, აგრარულმა მეცნიერებამ დიდი და მნიშვნელოვანი სახელოვანი გზა განვლო, რამაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებაზე, მისი დარგობრივი სტრუქტურის სწორად განსაზღვრაზე, ტექნოლოგიურ სრულყოფაზე, საწარმოორესურსული პოტენციალისა და წარმოების დონის ამაღლებაზე.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია დაფუძნდა 1957 წლის 12 დეკემბერს. თავდაპირველად მის შემადგენლობაში იყო 14 აკადემიკოსი და 8 წევრ-კორესპონდენტი.

აკადემიის პირველი პრეზიდენტი იყო თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი-ნიადაგმცოდნე აკადემიკოსი მიხეილ საბაშვილი (1957-1961 წლებში).

1971 წელს, საკავშირო ორგანოების გადაწყვეტილებით შეიქმნა სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის რეგიონული განყოფილება, რომელიც საქართველოსთან ერთად ემსახურებოდა სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს. აკადემიკოს-მდივანად დაინიშნა აკად. ივანე ხოხლოვი. 1983 წლიდან ამ განყოფილების აკადემიკოს-მდივანი იყო აკად. ვალერიან მეტრეველი. ამ მეცნიერებმა თვალსაჩინო კვალი დაამჩნიეს სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარებას.

საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 29 ოქტომბრის №615 დადგენილების საფუძველზე შეიქმნა (კვლავ აღდგა) საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და მის პრეზიდენტად აირჩიეს აკად. ვალერიან მეტრეველი, რომელიც აკადემიას 2004 წლამდე ხელმძღვა-ნელობდა. ამ დროს გამოვლინდა მისი დიდი ორგანიზატორული უნარი და ინოვაციური მიდგომები. ამ პერიოდში აკადემიამ დიდი წარმატებები მოიპოვა.

2004-2005 წლებში აკადემიის პრეზიდენტი იყო აკად. ნაპოლეონ ქარქაშაძე, შემდეგ, 2007-2012 წლებში აკად. შოთა ჭალაგანიძე, 2013 წლიდან აკადემიის პრეზიდენტია აკად. გურამ ალექსიძე.

დაფუძნების დღიდან აკადემიის შემადგენლობას ამშვენებდნენ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ აკადემიკოსები: მ.საბაშვილი, დ.გედევანიშვილი, ქ.ბახტაძე, მ.დარასელია ლ.დეკაპრელევიჩი, ნ.ხომიზურაშვილი, შ.ჭანიშვილი, ს.ერქომაიშვილი, ლ.ყანჩაველი, ლ.კალანდაძე, ი.ლომური, ი.სარიშვილი, დ.თავხელიძე, გ.შხვაცაბაია. აკადემიის წევრ-კორესპონდენტები: ი.ბათიაშვილი, მ.გაგოშიძე, ი.ჯაში, ვ.ქანთარია, ა.კიზირია, ა.მენაბდე, მ.რამიშვილი, მ.რჩეულიშვილი.

1991 წლიდან 2010 წლამდე აკადემიის სისტემაში ფუნქციონირებდა 14 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 6 სამეცნიერო ცენტრი და 3 საცდელი სადგური, რომლებმაც მრავალი წლის განმავლობაში დიდი და ნაყოფიერი თეორიული და გამოყენებითი ხასიათის სამუშაოები შეასრულეს.

აკადემიის დიდი პოტენციალი სოფლის მეურნეობისა და ამ დარგის მეცნიერების განვითარებაში მრავალი კუთხით გამოვლინდა.

ქართველმა მეცნიერებმა დიდი და წარმატებული სამუშაოები შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა და ცხოველთა ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანის, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის პროგრესული, ზონალური ტექნოლოგიების, ნიადაგის დამუშავების, ნათესებისა და ნარგაობის მოვლის, თესლთმცოდნეობის, თესლბრუნვების სქემების, აგროქიმიური კარტოგრამების, მიწის კადასტრის შედგენის, ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებისა და აღდგენის სისტემების დამუშავების, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებული სისტემების დამუშავების, ზონალური პირობების მიხედვით მოდიფიცირებული მანქანათა სისტემებისა და მაღალი სამანქანო ტექნოლოგიების შექმნის, წყლის რესურსების გამოყენებისა და მართვის რეკომენდაციების, კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების მიკრორეგიონული სისტემის, კვების მრეწველობის ახალი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის საწარმოებლად გამიზნული პროგრესული ტექნოლოგიების, სოფლის მეურნეობის მართვის მოდელების, სოფლის მეურნეობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის რეკომენდაციების დამუშავების ხაზით, რამაც საფუძველი დაუდო ჩამოყალიბებულიყო სოფლის მეურნეობის გაძლოლის ერთიანი, მეცნიერულად დასაბუთებული კომპლექსური ტექნიკურ-ტექნოლოგიური და ეკონომიკურ-ორგანიზაციული ზონალური სისტემები.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, ქვეყანაში აგრარულ მეცნიერებათა პრიორიტეტული მიმართულებების განმსაზღვრელი, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინატორი და მთავრობის მეცნიერული მრჩეველია აგრარულ საკითხებში. იგი შედგება მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) და წევრ-კორესპონდენტებისაგან, აგრეთვე საპატიო აკადემიკოსებისა და უცხოელი წევრებისაგან.

აკადემიის მიზანია: აგრარული მეცნიერების ყოველმხრივი განვითარების ხელშეწყობის გზით სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიური და ეკონომიკურ-ორგანიზაციული სიახლეებისა და მიღწევების გამოყენებისა და დანერგვის ორგანიზაცია, რაც უნდა ეყრდნობოდეს თანამედროვე მსოფლიო წესრიგისა და საბაზრო ურთიერთობათა პირობებში, არსებული და ახლად შესაქმნელი მეცნიერული პოტენციალის შესაძლებლობებსა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რაციონალურ კოორდინაციას და რამაც უნდა უზრუნველყოს მეცნიერტევადობის დონის ამაღლება, ამის საფუძველზე კი საქართველოს სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული, მდგრადი და სტაბილური აღმავლობა და ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცება.

აკადემიაში არის დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებები, რომელსაც ხელმძღვანელობენ სამეცნიერო განყოფილების კრებისა და აკადემიის საერთო კრების მიერ არჩეული განყოფილებათა აკადემიკოს-მდივნები; ჩამოყალიბებულია აგრარული მიმართულებების ეროვნული კოორდინატორების ინსტიტუტი; შექმნილია: ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღ-

ლების სასწავლო ცენტრი; აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრი; გამომცემლობა „აგრო“; აგრარული მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი ფონდი; ექსპერტის წოდების მიმნიჭებელი საექსპერტო კომისია; პერიოდულად (წელიწადში ორჯერ) გამოიცემა საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული, რეფერირებული სამეცნიერო შრომათა კრებული „მოამბე“, აკადემიის „მაცნე“(კვარტალურად).

აკადემია წევრია და თანამშრომლობს 20-მდე საერთაშორისო ორგანიზაციასთან, მათ შორის: **CGIAR, CACAARI, ICARDA, CIMMYT, ICRISAT, BIOVERCITY INT., CIP, BACSA**-სთან. აკადემია არის ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათის და ბუნებათსარგებლობის მეცნიერებათა აკადემიების კავშირის წევრი. იგი ფართოდ თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებთან, გაერთიანებებთან, ორგნიზაციებთან, კონვენციებში. აკადემიის წევრები აქტიურად მონაწილეობენ და მოხსენებებით გამოდიან საერთაშოროსო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და მსოფლიო კონგრესებში - აშშ-ში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, ჩინეთში, კორეაში, პორტუგალიაში, რუმინეთში, ბულგარეთში, ჩეხეთში, რუსეთში, უკრაინაში, ყაზახეთში, უზბეკეთში, თურქმენეთში, თურქეთში, იორდანიაში და სხვა ქვეყნებში.

აკადემიას, ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები და მემორანდუმები აქვს გაფორმებული: უკრაინის, ბელორუსიის, ჩინეთისა და კორეის რესპუბლიკების ეროვნულ და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებთან, პოლონეთის, უკრაინის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს აგრარული მიმართულების სამეცნიერო ცენტრებთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, უნივერსიტეტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

აკადემიის ხაზით, თავისი არსებობის მანძილზე გამოქვეყნებულია: 10000-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ. შორის 250 მონოგრაფია, 165 სახელმძღვანელო, გაფორმებულია 390 გამოგონება და პატენტი, მიღებულია 130-ზე მეტი სერტიფიკატი ინოვაციურ წინადადებებზე. გამოყვანილია სასოფლო-სამეურნეო კულტურათა 25 ახალი ჯიში,

აკადემიამ 2014-2017 წლებში გამოსცა: 80-ზე მეტი სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაცია, აგროწესები, მითითებები და ბუკლეტები ფერმერულ მეურნეობათა დასახმარებლად; სოფლის მეურნეობის გაძღოლის ტექნოლოგიური რეკომენდაციების ციკლის 24 წიგნი-ფერმერთა დასახმარებლად.

2013-2017 წლებში, აკადემიაში, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო დაფინანსებით ჩატარდა 5 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: 1. „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“ (2013 წ); 2. „კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“ (2014 წ.); 3. „გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“ (2015 წ); 4. „ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის“ (2016 წ.); 5. „მევენახეობა და მეღვინეობა ევროპის ქვეყნებში - ისტორიული ასპექტები და პერსპექტივები“(2017 წ,), რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილმა მეცნიერებმა.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრთა ხელმძღვანელობით, ბოლო 10 წელიწადში, შესრულდა 12-ზე მეტი სახელმწიფო საგრანტო პროექტი, რამაც გაამდიდრა აგრარული მეცნიერება.

XXI საუკუნის გამოწვევებიდან, მომავლის ხედვის შესაბამისად, აკადემიის წინაშე ახალი თვალსაწიერი იშლება. მის საქმიანობაში წინა პლანზე უნდა წამოიწიოს ფუნდამენტური, მათ შორის თეორიული და გამოყენებითი ხასიათის პრობლემებმა, ტექნოლოგიური კუთხის გადაწყვეტებმა; პროგრამირებული სოფლის მეურნეობისა და ბიომრავალფეროვნების უზრუნველმყოფი კომპლექსური რეკომენდაციების დამუშავებამ, რომელიც ზონალურად დიფერენცირებულ მიდგომებს დაეფუძნება და გაჯერებული იქნება მრავალვარიანტული სცენარების შესაბამისი, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

უნდა გაფართოვდეს სამეცნიერო და საკოორდინაციო-ორგანიზატორული მუშაობა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებისა და შესაბამისად სასურსათო უსაფრთხოების ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ-ორგანიზაციულ პრობლემებზე, რომელიც შეესატყვისება და უპასუხებს ადგილობრივი, ზონალური ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მაქსიმალური უკუგებით გამოყენების მოთხოვნებსა და მარკეტინგული სტრატეგიის საშინაო და საგარეო მოტივაციებს.

ასეთი მიდგომებიდან გამომდინარე, აკადემიაში ფართომასშტაბური სამუშაოები შესრულდა სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პროგნოზის დასამუშავებლად, რომლის მიხედვითაც გამოიყო ახლებური ხედვის მეცნიერული პრიორიტეტები ცალკეული დარგების (სფეროების) შესაბამისად.

სოფლის მეურნეობის ხაზით განსაზღვრული პრიორიტეტული სამეცნიერო-კვლევითი პრობლემების მეცნიერულად დასაბუთებულმა გადაწყვეტამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ზრდის, რესურსული პოტენციალის ეფექტური გამოყენებისა და ლოგიკურად, სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის სახელმწიფოებრივი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას, შესაბამისად კი საგარეო-ეკონომიკური კავშირების განმტკიცებას და საქართველოს, მსოფლიო ინტეგრირებულ პროცესებში სტაბილურად ჩართვას.

გურამ ალექსიძე-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი;

გივი ჯაფარიძე-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი;

ომარ ქეშელაშვილი-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია - 60 წელი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია 1957 წლის 12 დეკემბერს დაარსდა. მასში გაერთიანებული იყო აკადემიის 14 ნამდვილი წევრი და აკადემიის 8 წევრ-კორესპონდენტი. მისი პირველი პრეზიდენტი გახლდათ აკად. მიხეილ საბაშვილი.

2017 წლის 12 დეკემბერს აკადემიის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დაარსებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა, რომელსაც აკადემიის წევრების გარდა ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები საქართველოს მთავრობიდან, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტის უფროსი გიორგი გვაზავა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები, სტუმრები აჭარიდან, მესხეთიდან, შუა და ქვემო ქართლიდან, იმერეთიდან, კახეთიდან.

საზეიმო სხდომა გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გურამ ალექსიძემ. მან სხდომის მონაწილეებს გააცნო საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მოსული საიუბილეო შემდეგი მისალმებები, გამოხმაურებები, ადრესები:

1. ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათის და უნებათსარგებლობის აკადემიების კავშირი - პროფ. მიშელ ტიბიერი, პრეზიდენტი;

2. ჯიანგსუს (ჩინეთი) სოფლის მეურნეობის აკადემიის პრეზიდენტი პროფ. უი ჟონგუი ;
3. რუმინეთის სოფლის მეურნეობის და მეტყევეობის აკადემია - პრეზიდენტი პროფ. გეორგ სინი;
4. ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია - ვიცე - პრეზიდენტი პროფ. ვუ კონგმინი;
5. სამხრეთ კორეის ბიომრავალფეროვნების ცენტრი და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია - პროფ. ჰონგ ჯე პარკი;

6. CACAAR- ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციების ასოციაცია;
7. ბელორუსიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია - პრეზიდენტი აკად. ვლადიმერ გუსაკოვი;
8. GFAR - დოქტ. აჯიტ მარუ (გლობალური ფორუმი);
9. ლატვიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია - პრეზიდენტი აკად. ბაიბა რივზა;

10. ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ცენტრი - გენერალური დირექტორი დოქტ. ისმაჰან ელოაფი;
11. პროფ. რაჯ პაროდა - ICARDA-ს ყოფილი

კოორდინატორი ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში;

12. პროფ. მაჰმუდ სოლჰი, ICARDA -ს ყოფილი გენერალური დირექტორი, სსმმ აკადემიის უცხოელი წევრი;

13. ICARDA - კამელ შიდიდი, გენერალური დირექტორის მოადგილე საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებში;

14. ICARDA -პროფ. რამ შარმა, რეგიონალური კოორდინატორი ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში

15. ICARDA -ს კოორდინატორი - აშოტუშ სარკერი;

16. CIMMYT - პროფ. ალექსანდრე მორგუნოვი, ხორბლისა და სიმინდის გაუმჯობესების საერთაშორისო ცენტრის პრეზიდენტი;

17. პოზნანის ბუნებათსარგებლობის უნივერსიტეტი (პოლონეთი) - პროფ. გზეგორჟ რაჩკა;

18. ტაჯიკეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია - პრეზიდენტი აკად. ნ. ასოზოდა;

19. უკრაინის ტაიროვის სახელობის მევენახეობის და მეღვინეობის კვლევითი ინსტიტუტი - დირექტორი აკად. ვ. ვლასოვი, ლაბორატორიის ხელმძღვანელი ლუდმილა კონუპი;

20. აზერბაიჯანის ზოოლოგიის ინსტიტუტი - პროფ. ზაქარია მამედოვი, დირექტორის მოადგილე;

21. ყაზახეთის კვლევითი სამსახურის ყოფილი დირექტორი პროფ. ბაიან ალიმგაზინოვა;

22. ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია "ელკანა" - დირექტორი მარიამ ჯორჯაძე;

23. ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტი - ს.მ. მეცნიერებათა დოქტ. პროფ. ვალერიან სუხიშვილი;

24. აკად. ვუგარ ბაბაევი - აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემია.

25. უკრაინის ვინიცის აგრარული უნივერსიტეტი - პროფ. გრიგორი კალეტნიკი- უნივერსიტეტის პრეზიდენტი; პროფ. ვიქტორ მაზური - უნივერსიტეტის რექტორი,

26. უკრაინის ბიორესურსების და ბუნებათსარგებლობის ეროვნული უნივერსიტეტი, პროფ. კონდრატიუკი;

27. პროფ. მუჰაბატ ტურდიევა - BIOVERSITY INTERNATIONAl -ის ცენტრალური აზიის ოფისი.

აკადემიის განვლილ გზასა და მიღწევების, სამომავლო გეგმების და პერსპექტივების შესახებ ვრცელი **მოხსენებით დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე.**

აკადემიას იუბილე მიულოცეს - საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერების სამმართველოს უფროსმა ნუგზარ ჩიტაიამ, ა. წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფ. გიგა ღავთაძემ, საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილემ ეთერ მათურელმა, აკადემიკოსმა ნოდარ ჭითანავამ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ აკად. რევაზ ასათიანმა, თბილისის 31-ე საჯარო სკოლის დირექტორმა მარინა ნიჟარაძემ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანმა პროფ. გიგა ქვარცხავამ, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორმა ლევან უჯმაჯურიძემ, ევრორეგიონული სასაწავლო უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ვლადიმერ სუხიშვილმა, აკად. ვაჟა კვალიაშვილმა, აკად. გურამ პაპუნიძემ, დამსახურებულმა მეღვინემ ბონდო კალანდაძემ, რომლებმაც აგრეთვე აკადემიის პრეზიდენტს გადასცეს მისასალმებელი ადრესები.

საზეიმო სხდომის დამთავრების შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს აკადემიის შენობა, აკადემიის მიღწევების საგამოფენო დარბაზი, აკადემიაში გამოცემული ლიტერატურის საგამოფენო სტენდები, ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებისათვის გამოყოფილი აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და სხვა.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

2017 წლის 25-27 ოქტომბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „მევენახეობა და მეღვინეობა ევროპის ქვეყნებში, ისტორიული ასპექტები და პერსპექტივები“. კონფერენციის ფინანსური მხარდაჭერა განახორციელა შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მიზანი იყო ევროპის ქვეყნების და მათ შორის საქართველოს, მევენახეობა და მეღვინეობის არსებული მდგომარეობის განხილვა, პერსპექტივების განსაზღვრა, ბიზნესის განვითარების დარგის პარამეტრების შემუშავებისათვის რეკომენდაციების მომზადება, ხოლო კონფერენციის ამოცანას წარმოადგენდა - მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებისათვის ევროპის ქვეყნების და მათ შორის საქართველოს სამომავლო პერსპექტივების ჩამოყალიბება, ევროპის და სხვა ქვეყნების მეცნიერების მიერ დარგში მიღწეული ინოვაციური ტექნოლოგიების განზოგადება და დარგის შემდგომი აღმავლობისათვის მეცნიერების და სხვა სპეციალისტების კვლევების და სამეცნიერო მიღწევების კუთხით ურთიერთგაცვლითი ღონისძიებების ჩატარების საფუძვლების მომზადება.

კონფერენციის მუშაობაში ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის, იტალიის, რუმინეთის, ესპანეთის, სლოვაკეთის, უკრაინის და მოლდოვის მეცნიერებმა. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა საფრანგეთის სოფლის მეურნეობის აკადემიის და ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათის და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის პრეზიდენტი, პროფ. მიშელ ტაიბიერი, ხოლო რუმინეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა რუმინეთის სოფლის მეურნეობის ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, პროფ. გეორგ სინი.

კონფერენცია გახსნა და მის მნიშვნელობაზე ისაუბრა აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გურამ ალექსიძემ.

კონფერენციას მიესალმა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამაზ მარსაგიშვილი, საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გიორგი კვესიტაძე, საფრანგეთის სოფლის მეურნეობის აკადემიის პრეზიდენტი, პროფ. მიშელ ტაიბიერი, რუმინეთის სოფლის მეურნეობის ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, პროფ, გეორგ სინი, უკრაინის სოფლის

მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკად. ვლადიმერ ხარება, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრი ავთანდილ მესხიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფ. გიორგი ქვარცხავა, მილანის (იტა-

ლია) უნივერსიტეტის პროფესორი ფაბიო კუაგლინო, სევილიის (ესპანეთი) უნივერსიტეტის პროფესორი რაფაელ ოსეტე რუბიო, ბრატისლავას (სლოვაკეთი) უნივერსიტეტის პროფესორი იოსეფ ტუროკი, ვ.ტაიროვის მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი ლუდმილა კონუპი (ოდესა, უკრაინა), საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო- კვლევითი ცენტრის დირექტორი, დოქტორი ლევან უჯმაჯურიძე.

კონფერენციაზე სულ წარმოდგენილი იყო 68 მოხსენება, მათ შორის 18 პლენარულ სხდომაზე, რომელიც ეხებოდა ევროპის ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის არსებულ მდგომარეობას, ამ დარგის სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებს და სამომავლო პერსპექტივებს, დარგის გენოფონდის დაცვის ღონისძიებებს, ევროპის ქვეყნებში დარგის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითად და თანამედროვე, ინოვაციური ტექნოლოგიების განხორციელების მიმართულებებს და ა.შ.

საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის არსებულ მდგომარეობას, ამ დარგის სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებს და სამომავლო პერსპექტივებს, დარგის გენოფონდის დაცვის ღონისძიებებს, ევროპის ქვეყნებში დარგის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითად და თანამედროვე, ინოვაციური ტექნოლოგიების განხორციელების მიმართულებებს და ა.შ.

კონფერენციამ აღნიშნა, რომ მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობის ევროპული სამყარო გაეცნო ქართული მევენახეობის საწყისებს, ოჯახური მევენახეობა-მეღვინეობის თავისებურებებს, თანამედროვე ტექნოლოგიებს, ქართული ვაზის უმდიდრეს გენოფონდს, რომლის მიმართ დიდი ინტერესი არსებობს და იგი ხელს შეუწყობს მსოფლიო არენაზე მის დაცვას კანონიერების სრული მოთხოვნით.

აღსანიშნავია, რომ ევროპული ღვინის საერთაშორისო ღონისძიების - საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება ერთ-ერთი მეტად საჭირო, ეფექტური ღონისძიება და საშუალებაა ამ ეროვნული დარგის ეკონომიკური პოტენციალის რეალიზების თვალსაზრისითაც.

კონფერენციის ჩატარების შედეგად გაღრმავდა კავშირები იმ ქართველ და ევროპელ მეცნიერთა შორის, რომლებიც კონფერენციის თემატიკით გათვალისწინებულ საკითხებზე მუშაობენ და რის საფუძველზეც მოხდება აგრარიკოსი მეცნიერების, ფერმერების, მეღვინეებისა და სტუდენტების გაცვლითი სამუშაო მივლინებების პრაქტიკის ჩამოყალიბება; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობა ექნებათ რეალიზება გაუწიონ კონფერენციაზე გამოთქმულ საზღვარგარეთის მეცნიერების პრაქტიკულ წინადადებებს ფერმერულ მეურნეობებში და ღვინის წარმოების ინდუსტრიაში, რაც გულისხმობს აკადემიაში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის შედეგების განზოგადოებას მევენახეობის და მეღვინეობის თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებებით. კონფერენციის შემდგომ, აკადემიის ეგიდით ჩატარებული სემინარების, მრგვალი მაგიდების, მინდვრის დღეების, საწარმოო ექსკურსიების და სხვა ღონისძიებების საშუალებით შესაძლებელია კონფერენციის შედეგების არა მარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ ევროპის ქვეყნებში საუკეთესო სააგიტაციო მუშაობის წარმართვა.

კონფერენციის შემაჯამებელ სხდომაზე მიღებული იქნა დეკლარაცია, რომელიც აღიარებს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს შორის მჭიდრო, საქმიანი კავშირების დამყარების დიდ მნიშვნელობას და სამეცნიერო ფორუმების სისტემატიური ჩატარების აუცილებლობას, ქვეყნების სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობის პრიორიტეტულობის განსაზღვრის მიზნით. მასში აღნიშნულია, რომ აუცილებელია -

ა) სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, მოქალაქეთა და სამეცნიერო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა მევენახეობისა და მეღვინეობის მიმართულებით ერთობლივი ღონისძიებების შესამუშავებლად;

ბ) მისასალმებელია დღევანდელი ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების კავშირის ერთსულოვანი სურვილი და მხარდაჭერა საქართველოში ზემოთაღნიშნული საერთაშორისო კონფერენციის შედეგების განზოგადოების მიმართულებით;

გ) განსაკუთრებით დიდია ამ კატეგორიის ღონისძიების ჩატარების მნიშვნელობა დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში. იგი დიდად შეუწყობს ხელს საერთაშორისო არენაზე ქართული ღვინის ავტორიტეტის ამაღლებას, ღვინის ბაზრებზე შესვლას და დამკვიდრებას, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისათვის.

კონფერენციის პროგრამით განხორციელდა საწარმოო ექსკურსიები საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯიღაურას ექსპერიმენტულ ბაზაში, ალ. ჭავჭავაძის წინანდლის სახლ-მუზეუმში, ნაფარეულის „ტყუპების მეღვინეობის კომპანიაში“ (გია და გელა

გამტკიცულაშვილები) და ყვარელში კომპანია „მეღვინეობა ხარება“-ს მეღვინეობის ობიექტებზე.

კონფერენციის დასასრულს კონფერენციის ყველა მონაწილეს გადაეცა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

ნიადაგის ნაყოფიერების მართვა ორგანული და ინტენსიური მიწათმოქმედების პირობებში.

2017 წლის 3 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ მოისმინა აკადემიკოს გოგოლა მარგველაშვილის მოხსენება: ”ნიადაგის ნაყოფიერების მართვა ორგანული და ინტენსიური მიწათმოქმედების პირობებში”

აღინიშნა, რომ დღეისათვის მსოფლიოში საზოგადოების უმეტესობა თვლის, რომ ჯანსაღი პროდუქტი ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ორგანული პროდუქტი, იგივე, ბიოპროდუქტი და მასზე მოთხოვნილება ყოველწლიურად იზრდება. ჯანსაღი პროდუქტის წარმოება ძირითადად დამოკიდებულია ნიადაგის მდგომარეობაზე. რამეთუ, თანამედროვე კაცობრიობის 93 % კვების პროდუქტს იღებს ნიადაგის ნაყოფიერების გამოყენების შედეგად. ამიტომაც, ჯანსაღი პროდუქტის წარმოებისთვის მთავარია ნიადაგი იყოს პროდუქტიული, ჯანმრთელი და მოვლილი.

ორგანული პროდუქტის წარმოება საჭიროებს ორგანულ მიწათმოქმედებას ანუ ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერებს შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. არიან ორგანული მიწათმოქმედების მომხრეები და მოწინააღმდეგებიც. ჩატარებული ხანგრძლივი დაკვირვებების საფუძველზე გთავაზობთ ჩვენს მოსაზრებას აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით.

არსებობს კითხვა: ინტენსიური – თუ ორგანული მიწათმოქმედება? დავიწყოთ პირველით!

მსოფლიოში, სოფლის მეურნეობის მაღალ განვითარებულ არც ერთ ქვეყანას ჯერჯერობით არ უთქვამს უარი ინტენსიურ სოფლის მეურნეობაზე. ამერიკა, კანადა, ბრიტანეთი, ევროპის ყველა ქვეყანა, აზიის ქვეყნები, დღემდე ეწევა ინტენსიურ სოფლის მეურნეობას. მიზანი ერთია – ფართობის ყოველ ერთეულზე მიღებულ იქნეს რაც შეიძლება მეტი მოსავალი მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით. ამას აღწევენ (რათქმაუნდა სხვა ფაქტორებთან ერთად) ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებლად მინერალური სასუქების აუცილებელი გამოყენებით, რათქმაუნდა ორგანულ სასუქებთან ერთად.

მსოფლიოში მინერალურ სასუქებზე მოთხოვნილება და მისი წარმოებაც ყოველწლიურად იზრდება რასაც შემდეგი ძირითადი ფაქტორები განაპირობებს:

– მსოფლიოში მინერალურ სასუქებზე მოთხოვნილება და მისი წარმოებაც ყოველწლიურად იზრდება რასაც შემდეგი ძირითადი ფაქტორები განაპირობებს: მსოფლიოს მოსახლეობის რიცხოვნების ზრდა იწვევს კვების ძირითად პროდუქტებზე მოთხოვნილების ზრდას, იმავდროულად ადგილი აქვს ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მსოფლიოს სათესი ფართობების თავისუფალი რესურსების შემცირებას, რაც განაპირობებს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის აუცილებლობას, ახალი ტექნოლოგიების დამუშავებას და დანერგვას. ყოველივე აღნიშნულის შედეგად იზრდება სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლების მოთხოვნილება მინერალურ სასუქებზე.

– უკანასკნელ წლებში რთული კლიმატური პირობები მრავალ წამყვან ქვეყანაში ნეგატიურად

აისახა ს/ს კულტურების მოსავალზე და გამოიწვია მარცვლეულის მსოფლიო მარაგების შემცირება, რამაც თავის მხრივ გამოიწვია მინერალურ სასუქებზე მოთხოვნილების ზრდა.

– ეკონომიკის განვითარებად ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების ზრდა იწვევს მათი კვების რაციონის გაუმჯობესებას. იზრდება მოთხოვნილება მეცხოველეობის პროდუქტებზე. სახელდობრ, ხორცზე და რძის პროდუქტებზე, რაც მოითხოვს მემცენარეობის პროდუქტების დამატებითი მოცულობის წარმოებას, რაც მინერალურ სასუქებზე მოთხოვნილების გაზრდას იწვევს.

– 2014 წელს მსოფლიოში 2 მილიარდ 534 მილიონი ტონა მარცვლეული აწარმოეს, რომელიც არ იყო საკმარისი და ამ პერიოდში როგორც ამას საერთაშორისო ექსპერტები წერენ ერთი მილიარდამდე ადამიანი შიმშილობდა, თანაც აღნიშნული 2 მილიარდ 534 მილიონი ტონიდან 50 % მიღებულია მინერალური სასუქების ხარჯზე. ადვილი წარმოსადგენია, რამდენი ადამიანი იშიმშილებს ეს 50% რომ მოაკლდეს.

ორგანულ მიწათმოქმედებას ასევე უწოდებენ „ბუნებრივს"; არსებობს ასეთი ტერმინებიც: „ბუნებასთან შეხამებული მიწათმოქმედება", „ბუნებრივ პრინციპებთან შეთანხმებული მიწათმოქმედება". დღეს ეს მეთოდი, ასეთი მიდგომა, ტექნოლოგია, დიდი პოპულარობით სარგებლობს და რათქმაუნდა იმსახურებს ცალკე მსჯელობას;

– დღეისათვის ორგანული მიწათმოქმედების თანდათან სულ უფრო ფართო მასშტაბით გავრცელება ავალდებულებს მეცნიერებს დაფიქრდნენ მისი განვითარების პერსპექტივებზე.

აღნიშნული მიწათმოქმედების **ერთ-ერთი ძირითადი მიზანი და აზრია** მიღებულ იქნეს ბოსტნეული, ხილი და ა.შ. სრულიად თავისუფალი ყოველგვარი „ქიმიისაგან".

მეორე მიზანი – ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებაა. პრინციპში, ინტენსიური მიწათმოქმედების მომხრეები სასუქების შეტანით იგივე მიზანს ემსახურებიან, მაგრამ ორგანული მიწათმოქმედების იდეოლოგია იმაში მდგომარეობს, რომ არ გადავაკეთოთ ბუნება, არამედ დავეხმაროთ მას. ამიტომ, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა ხდება აგროტექნიკური ხერხების და ნატურალური საშუალებების ხარჯზე. იქნება ეს ორგანული სასუქები, სიდერაცია, ბიოჰუმუსი, ბიოპრეპარატები და ა.შ.

არსებობს კითხვები: – **1.** შეიძლება თუ არა, ამ მიმართულებით წასვლისას გადაწყდეს არსებული ეკოლოგიური პრობლემები? და **2.** – შეუძლია თუ არა ორგანულ მიწათმოქმედებას გახდეს რეალური ალტერნატივა ტრადიციული მიწათმოქმედების? ე.ი. წარმატებით გადაწყვიტოს პლანეტის მზარდი მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემა ხარისხიანი, ჯანსაღი საკვები პროდუქტებით?

ორივე კითხვაზე პასუხი უარყოფითია. პასუხი პირველ კითხვაზე: – გარემოს დამაბინძურებლებიდან სოფლის მეურნეობის წილზე მოდის 4-5%; ყველაზე მეტია ტექნოგენური, ტრანსპორტით, .წიაღისეულის მოპოვებით, ნავთობპროდუქტებით და ა.შ. დაბინძურება.

სოფლის მეურნეობაში მთავარ დამაბინძურებლად ითვლება მინერალური სასუქების და პესტიციდების გამოყენება. პესტიციდებთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით, ეს მცენარეთა დამცველების საქმეა. რაც შეეხება მინერალურ სასუქებს, ამ შემთხვევაშიც, თუკი მკაცრად იქნება დაცული მინერალური სასუქების გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებული რეგლამენტები, მათი ნეგატიური ზეგავლენა გარემოზე იქნება მინიმალური.

პასუხი მეორე კითხვაზე: – ორგანული მიწათმოქმედების ნაკლია:

– ს/ს კულტურების მოსავლის შედარებით დაბალი დონე. (არსებობს მოსავლის ჭერი, ზღვარი, რომლის გადალახვაც ორგანული სასუქებით უბრალოდ შეუძლებელია).

– მსოფლიოში საკმარისი რაოდენობით ნაკელი არ არის. საერთაშორისო ექსპერტების აზრით, 6 მილიარდი სული საქონელი უნდა არსებობდეს, რომ მსოფლიოში ორგანული სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფილი იქნეს ნაკელით; მაშინ, როცა, 2009 წლის მონაცემებით მსოფლიოში იმ წელს იყო 1,6 მილიარდი სული საქონელი.

– გენეტიკურად თუ ნიადაგში მცირეა რომელიმე საკვები ელემენტი, დაბალი იქნება მისი შემცველობა ნაკელშიც.

– თუ ნიადაგი დაბინძურებულია, მაგალითად მძიმე მეტალებით, იგი გადადის ნაკელშიც და კვლავ უბრუნდება ნიადაგს.

– ნაკელის შორ მანძილზე გადაზიდვა არარენტაბელურია.

– ნაკელით ნიადაგს არ უბრუნდება მარცვლის აზოტი, ფოსფორი და კალიუმი, რომელიც გაყიდულია მეურნის (ფერმერის) მიერ. მარცვლით გადის მარცვლეულის მიერ გამოტანილი ფოსფორის ორი მესამედი, აზოტის სამი მეხუთედი და კალიუმის მხოლოდ ერთი მეშვიდედი.

– მინესოტის უნივერსიტეტის გამოკვლევებმა უჩვენეს, რომ ორგანულ მინდვრებზე მოყვანილი ბოსტნეულისგან სალმონელოზით დაავადების ალბათობა სამ-ხუთჯერ მაღალია ტრადიციული წესით მიღებულ ბოსტნეულთან შედარებით, რადგანაც ორგანულ მეურნეობაში განოყიერებისათვის გამოყენებული ნაკელი ითვლება ხელსაყრელ არედ დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმების გამრავლებისთვის.

ორგანული პროდუქტების წარმოებაზე გადასვლა არ არის რეკომენდირებული განვითარებადი ქვეყნებისათვის; მოსახლეობის რიცხოვნობის მუდმივი ზრდა მოითხოვს ასეთ ქვეყნებში ორგანული სოფლის მეურნეობის იდეოლოგიაზე უარის თქმას და უფრო პრაგმატული მეთოდებით (ტექნოლოგიით) სარგებლობას.

აღნიშნული ნაკლოვანებების გამო არ ვართ დაზღვეული, რომ მიღებული იქნება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით; სწორედ ამიტომ, მრავალი მეცნიერი და პრაქტიკოსი საკმაოდ სიფრთხილით ეკიდება ორგანულ მიწათმოქმედებას.

მიგვაჩნია, რომ მიწათმოქმედების ეს ორი მიმართულება არ გამორიცხავს ერთმანეთს, ყოველ შემთხვევაში თანამედროვე პერიოდში ორივე მიმართულებას აქვს არსებობის უფლება, ორივე

მიმართულების განვითარება აუცილებელია ვფიქრობთ, დრო და ბაზარი გამოავლენს მათგან უპირატესს.

ჩვენ მხარს ვუჭერთ მიწათმოქმედების რაციონალურ სისტემას – ნაკელისა და სხვა ორგანული საშუალებების არსებული რესურსების სრულად გამოყენების პირობებში ორგანული მიწათმოქმედების მაქსიმალურად შესაძლო მასშტაბით განვითარებას და მის საფუძველზე მაქსიმალურად შესაძლო რაოდენობით ყოველგვარი ქიმიისაგან თავისუფალი ნატურალური ჯანსაღი პროდუქციის წარმოებას, ბედნიერი ვიქნებოდი თუ ასეთი პროდუქციის წარმოება ჩემს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთლიანი მოცულობის 20-30%-ს მიაღწევდა (მოგეხსენებათ, არსებული ინფორმაციით დღეისათვის იგი მსოფლიოში სოფლის მეურნეობის მაღალ განვითარებულ ქვეყნებში 4-5%-დან 13-14%-ის ფარგლებში მერყეობს). მაგრამ, არსებული რეალობიდან გამომდინარე, მოსახლეობის უმეტესი ნაწილის გამოკვებისთვის ასევე, მხარს ვუჭერ ინტენსიური სოფლის მეურნეობის განვითარებას. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მილიონობით ჩატარებული ცდები და დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილება სწორედ რომ აღნიშნული მოსაზრების დადასტურებაა.

ქვეყანამ მიზნად უნდა დაისახოს უახლოეს 4-5 წელიწადში ადგილობრივი წარმოების სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფა. ჩვენი მიწის, წყლის რესურსების, კლიმატური პირობების, რაც მთავარია, სამეცნიერო პოტენციალის, ჩვენი მეურნეების – ფერმერი იქნება თუ გლეხი – გამოცდილების გათვალისწინებით, ჩვენ შეგვიძლია არა მარტო საკუთარი თავის გამოკვება, არამედ, როგორც ინტენსიური, ისე ორგანული სოფლის მეურნეობის წარმოების პირობებში, გავხდეთ ჯანმრთელი, ეკოლოგიურად სუფთა, ხარისხიანი კვების პროდუქტების ექსპორტიორი ქვეყანა.

დასასრულს, ჩვენი უპირველესი მიზანი ინტენსიური თუ ორგანული მიწათმოქმედების დროს, უნდა იყოს ჩვენი შეუცვლელი სიმდიდრის, ჩვენი მასაზრდოებელი ნიადაგის - ნაყოფიერების შენარჩუნება – ამაღლება. სასოფლო-სამეურნეო წარმოება უნდა ეყრდნობოდეს ნიადაგდაცვით და რესურსდამზოგ მიწათმოქმედებას, რომლის ძირითადი პრინციპებია: ნიადაგის ნულოვანი ან მინიმალური დამუშავება, თესლბრუნვების დივერსიფიკაცია, სიდერაცია, ნიადაგის ზედაპირის მუდმივად დაფარვა ორგანული მასით – მცენარეულობით ან მისი ნარჩენებით – მულჩის სახით.

სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგია

2017 წლის 1 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოზე მოისმინეს აკადემიკოს რევაზ ასათიანის მოხსენება თემაზე: "სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგია".

აღინიშნა, რომწარმოდგენილი დოკუმენტი მოამზადა ექსტენციის სტრატეგიის პროექტის შესამუშავებლად შექმნილმა ჯგუფმა, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 12 აგვისტოს # 2-183 ბრძანებით. ჯგუფს დახმარება აღმოუჩინა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პროგრამის დაფინანსებითა და გაეროს სურსთისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის განხორციელებით მიმდინარე ,,სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტექნიკური დახმარების“ პროექტმა.

საქართველოში ფერმერები შემდეგ სამ ჯგუფად იყოფიან: ძალიან მცირე მეურნეობებით (პირობითად 0-1.25 ჰა-მდე), რომლებიც პროდუქციას საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებენ; მცირე და საშუალო ზომის მეურნეობებით (პირობითად 1.25 ჰა-დან -5 ჰა-მდე), რომლებიც პროდუქციას არაფორმალური ან ფორმალური ბაზრების მეშვეობით რეალიზაციისათვის აწარმოებენ და დიდი მეურნეობები (5 ჰა და მეტი) და კოოპერატივები, რომლებიც ფორმალური ბაზრების მეშვეობით ყიდიან პროდუქტს და დაქირავებულ შრომას იყენებენ. მიწის, პირუტყვისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების უდიდესი ნაწილი სწორედ მეორე ჯგუფზე მოდის, თუმცაღა ცალკეულ ინდუსტრიულ პროდუქტს უმეტესად მსხვილი მეურნეობები და კოოპერატივები აწარმოებენ.

ექსტენცია, უმეტესწილად, ფერმერებთან პირდაპირ კონტაქტზეა დამყარებული, ინდივიდუალურად და ჯგუფურად, რაც არ მოიცავს ინფორმაციის მასობრივად გავრცელების სისტემებსა და ფერმერულ მეურნეობებში ტექნოლოგიების გამოცდასა და დემონსტრირებას. სამსახურების საქმიანობას სამინისტროს ცენტრალური აპარატის რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტი წარმართავს, მაგრამ სადღეისოდ არ არსებობს უშუალოდ ექსტენციაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია, რომელიც შეიმუშავებს ექსტენციის სტრატეგიას, მოამზადებს საშუალებებსა და მასალებს, გადაამზადებს მრჩევლებს და გაავრცელებს კონსულტაციებს სახელმწიფო ტელევიზიითა და ინტერნეტით, ან ჩაატარებს გაცემული რჩევების ათვისებისა და ზეგავლენის მონიტორინგის სამუშაოებს.

სახელმწიფო ექსტენციისსისტემა შემდეგი სამი

უმთავრესი გამოწვევის წინაშე დგას:

- ქვეყნის სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ამაღლება ფერმერთათვის ახალი ტექნოლოგიების გაცნობისა და ცოდნის გადაცემის გზით.
- ასეულ ათასობით მცირე და საშუალო ზომის ფერმერისთვის რჩევების მოწოდების თვალსაზრისით ეფექტიანი სისტემის შექმნა;
- პოლიტიკური პრიორიტეტების ცვლილებე ბისა და დაფინანსებისთვის კონკურენციის პირობებში მძლავრი პროფესიული ორგანიზაციის ჩამოყალიბება.

ექსტენციის პროცესი დამოკიდებულია შემდეგ სამ ძირითად ფაქტორზე:

- მოქნილი და გამჭვირვალე მენეჯმენტი - გამჭვირვალე მენეჯმენტი, შესაბამისი სამართლებრივი ფორმა, ცენტრალური/რეგიონული/მუნიციპალური ტრუქტურები, ექსტენციის ეროვნული/რეგიონული / მუნიციპალური ფერმერთა საბჭოები.
- გამართული და ეფექტური ინფრასტრუქტურა - სადემონსტრაციო ნაკვეთები, სატრანსპორტო საშუალებები, ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და გადაცემის ტექნიკური საშუალებები, პროფესიული ადამიანური რესურსი, ცოდნის გადაცემის თვალსაჩინო მასალა და სხვა.
- სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგი - აგრარული ბაზრის კვლევა წარმოების სრული ჯაჭვის შესახებ.

სტრატეგიის ზოგადი მიზანია არსებული საინფორმაციო-საკონსულტაციო სისტემის გარდაქმნა მძლავრ, შედეგებზე ორიენტირებულ სახელმწიფო ექსტენციის სამსახურად, რომელიც ფერმერთა რეალურ საჭიროებებს უპასუხებს და რომლის მართვასაც სწორედ ფერმერები განახორციელებენ.

ექსტენციის სტრატეგია განხორციელდება ორ ეტაპად: ეტაპი 1 (2018 წელი) - პილოტ რეგიონების შერჩევა სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მექანიზმების შემუშავება-აპრობაციისთვის და ეტაპი 2 (2019 წელი) - ექსტენციის შემუშავებული მექანიზმების რეპლიკაცია სხვა რეგიონებში და ექსტენციის ცენტრის იურიდიულად გაფორმება.

პირველ ეტაპზე შეირჩევა ორი პილოტ რეგიონი, სადაც მოხდება ექსტენციის მექანიზმების შემუშავება და აპრობირება. მეორე ეტაპზე მოხდება პილოტ რეგიონებში აპრობირებული ექსტენციის მექანიზმების ანალიზი და მათი ადაპტაცია/რეპლიკაცია ქვეყნის სხვა რეგიონებში, სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ცენტრის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის, ფუნქციების, ბიუჯეტის და სამოქმედო გეგმის დაზუსტება, ასევე სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ცენტრის იურიდიულად გაფორმება, კადრებით დაკომპლექტება და ფუნქციონირების დაწყება.

ექსტენციის ახალი სამსახურის ძირითადი ფუნქციები იქნება:

- ექსტენციის სახელმწიფო მომსახურების სტრატეგიული დაგეგმვა და მართვა, ექსტენციის პრიორიტეტების იდენტიფიცირება რეგიონების/მუნიციპალიტეტების მიხედვით; შესაბამისი სამოქმედო და ტრენინგების გეგმებისა და ბიუჯეტის მომზადება;
- ექსტენციის პაკეტების (ლიფლეტების, ბროშურები, საინფორმაციო ფურცლები და სხვა სახის ფიზიკური მასალები) შემუშავება, პუბლიკაცია და გავრცელება რეგიონების/მუნიციპალიტეტების მიხედვით;
- ექსტენციის საქმიანობის პოპულარიზაცია ქვეყნის მასშტაბით მასმედიაზე დაყრდნობით, გაზეთების, ტელევიზიის, რადიოს, ინტერნეტის, სოციალური მედიის და მოკლე შეტყობინებების ჩათვლით;
- მრჩეველ-კონსულტანტთა/ექსტენციონისტთა ტრენინგის საერთო სახელმწიფო გეგმის მომზადება და მის განხორციელებაზე ზედამხედველობა;
- საჭიროების მიხედვით სხვადასხვა დარგის/სფეროს/მიმართულების სპეციალისტებით დახმარების უზრუნველყოფა რეგიონული/მუნიციპალური დონის მრჩეველებისთვის;
- სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის შედეგების ანგარიშგების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესის კოორდინაცია;

სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ძირითადი გზავნილებია:

- სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგია განხორციელდება 2 ეტაპად 2018-2019 წლებში;
- ექსტენციის სამსახურის დაზუსტებული ბიუჯეტი, სტრუქტურა, ფუნქციები, კადრები და სამოქმედო გეგმა - ჩამოყალიბდება სტრატეგიის განხორციელების მეორე ეტაპზე;
- შეიქმნება სახელმწიფო ექსტენციის დამოუკიდებელი სამსახური - „სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სამსახური“ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოორდინაციის ქვეშ;
- ექსტენციის სამსახურის სათაო და რეგიონალური ოფისების განთავსების საკითხი გადაწყდება სტრატეგიის განხორციელების მეორე ეტაპზე;
- დაფინანსების წყარო იქნება - სახელმწიფო ბიუჯეტი, არასამთავრობო და კერძო სექტორი, დონორი ორგანიზაციები.

სამეცნიერო კონფერენცია აგროსაინჟინრო მიმართულების საკითხებზე

2017 წლის 03 ოქტომბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ "მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2017"-ის აგრარული მეცნიერების დღის ფარგლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინირინგის ფაკულტეტზე ჩაატარა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: " აგრარული სექტორის საინჟინრო-ტექნიკური მომსახურების სრულყოფა". კონფერენციას ესწრებოდნენ სსმმ აკადემიის, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისდა საქართველოსა გრარული უნივერსიტეტის თანამშრომელები.

კონფერენციას თავმჯდომარეობდა სსმმ აკადემიის პრეზიდენტი აკად. გურამ ალექსიძე.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო შემდეგი მოხსენებები:

1. საქართველოს აგროსაინჟინრო სამსახურის დღევანდელი მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები. მომხსენებელი - რევაზ მახარობლიძე – აკადემიკოსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

2. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საიმედობის გაზრდის რესურსდამზოგი ინოვაციური ტექნოლოგიები. მომხსენებელი ჯემალ კაციტაძე --აკადემიკოსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

3. მეაბრეშუმეობის შრომატევადი პროცესების მექანიზაციის განვითარების პერსპექტივები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე. მომხსენებელი ელგუჯა შაფაქიძე --კადემიკოსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

4. პლასტიკურ მულჩზე ტრადიციული ტექნოლოგიით მარწყვის წარმოების შედარებითი ეკონომიკური დაენერგეტიკული ანალიზი. მომხსენებელი ოთარ ქარჩავა -- ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი; საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი.

5. საქართველოში ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის ტექნოლოგიების დანერგვა შპს "მექანიზატორის" მაგალითზე. მომხსენებელი ზაზა მახარობლიძე -- ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი, შპს "მექანიზატორი".

6. სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინრო სამსახურის მიერ განხორციელებული პროექტები და პერსპექტივები. მომხსენებელი ნუგზარ ებანოიძე -- ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გ. ალექსიძემ, რომელმაც მაღალი შეფასება მისცაწარმოდგენილ მოხსენებებს და წამოაყენა წინადადება, რათა კონფერენციაზე გამოთქმული შენიშვნები და წინადადებებიგადაეგზავნოს რეაგირებისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს.

საიუბილეო გამსვლელი სამეცნიერო კონფერენცია აჭარაში

2017 წლის 16 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით და აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით ბათუმში სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „აჭარის აგრარული სექტორის თანამედროვე პრობლემები და მათი დაძლევის პერსპექტივები“.

კონფერენციის მუშაობაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა გ. მარგველაშვილმა, რ. მახაროblიძემ, ე. შაფაქიძემ, თ. ყურაშვილმა, ვ. ცანავამ, გ. პაპუნიძემ და რ. ჯაბნიძემ, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მინისტრმა ავთანდილ მესხიძემ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. მერაბ ხალვაშმა, პრორექტორმა სამეცნიერო დარგში, პროფ. ნათელა წიკლაშვილმა, სამინისტროსა და უნივერსიტეტის თანამშრომელებმა, უნივერსიტეტის სტუდენტებმა - მაგისტრებმა და დოქტორანტებმა.

კონფერენციის პროგრამა შემდეგი იყო:

1. კონფერენციის გახსნა - **ავთანდილ მესხიძე,** აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი;
2. **აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე**- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი; თემა: «საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია 60 წლისაა“;
3. **პროფესორი მერაბ ხალვაში** - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;

4. **პროფესორი ზაურ ფუტკარაძე** - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელი;
5. **ავთანდილ მესხიძე, ასმ მინისტრი** - თემა: “აჭარის ა რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის მიზნობრივი პროგრამები”;
6. **აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი (სსმმა) -** თემა: “ნიადაგის ნაყოფიერების მართვა ორგანული და ინტენსიური მიწათმოქმედების პირობებში”.

7. **აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე (სსმმა)** - თემა: “დეგრადირებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის ტექნოლოგია და ტექნიკური საშუალებები”;

8. **აკადემიკოსი ვალერიან ცანავა (სსმმა)** - თემა: “სუბტროპიკული კულტურების განოყიერების გადაუდებელი ამოცანები”;
9. **აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე (სსმმა)** - თემა: “მეაბრეშუმეობის აღორძინების პერსპექტივები აჭარაში”;
10. **აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი (სსმმა)** - თემა: “აჭარაში გავრცელებული ცხოველთა ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებები”;
11. **აკადემიკოსი რეზო ჯაბნიძე (სსმმა)** - თემა: “აჭარაში აგრარული კადრების მომზადებისა და დასაქმების შესახებ”;
13. **აკადემიკოსი გურამ პაპუნიძე (სსმმა)** - თემა: “აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები”;
14. ასოცირებული პროფესორი რომან მარგალიტაძე (ბშრსუ) - თემა: “სასოფლო სამეურნეო ტექნიკის მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები აჭარაში”;
15. **ასოცირებული პროფესორი ავთანდილ მურვანიძე (ბშრსუ)** _ თემა: “აჭარის აგროცენოზში გავრცელებული მავნებლები და მათი მონიტორინგის შედეგები”;

16. **დოქტორანტი თეონა ზოიძე (ბსსა)** - თემა" სოფლის ტურიზმის განვითარების პერსპექტივები აჭარის სექტორში";

17. **ს.ს. კოოპერატივ Вეე Გეორგია-ს დირექტორი მანანა ბოლქვაძე** - თემა: "მეფუტკრეობის განვითარების პერსპექტივები აჭარაში".

კონფერენციის მსვლელობისას დამსწრე საზოგადოებამ, უნივერსიტეტის პროფესორებმა და სტუდენტებმა მომხსენებლებს მრავალი შეკითხვა დაუსვეს.

იყო შინაარსიანი გამოსვლები, რომელიც აჭარის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებებს ეხებოდა, დაისახა ახალი პროექტების განხორციელების რაციონალური და ეკონომიკურად გამართლებული გზები. გამომსვლელებმა მიულოცეს აკადემიას დაარსებიდან 60 წლისთავი და უსურვეს მის მთელ შემადგენლობას მრავალი წარმატებები აგრარული მიმართულების სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობაში.

საიუბილეო გამსვლელი სამეცნიერო კონფერენცია ქუთაისში

2017 წლის 22 ნოემბერს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „სუბტროპიკული სოფლის მეურნეობა და მისი განვითარების პერსპექტივები". კონფერენცია ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული აკადემიის დაარსებიდან 60 წლისთავის აღსანიშნავად საიუბილეო ღონისძიებების ჩატარების გეგმის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ამ ორ ორგანიზაციას შორის გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი, სადაც ერთობლივ კონფერენციებში მონაწილეობა სწორედ მემორანდუმის პუნქტებით არის გათვალისწინებული.

კონფერენციის მუშაობაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან მონაწილეობა მიიღეს აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა აკად. ე. შაფაქიძემ, პრეზიდენტის მოადგილემ დოქტ. ა. გიორგაძემ, აკადემიკოსებმა გ. მარგველაშვილმა, რ. მახარობლიძემ, ჯ. კაციტაძემ, ზ. ცქიტიშვილმა, ნ. ბაღათურიამ, თ. ყურაშვილმა, რ. ჯაბნიძემ, აკადემიის სწავლულმა მდივნებმა დოქტორებმა მ. ბარვენაშვილმა და რ. ლოლიშვილმა.

უნივერსიტეტის მხრიდან კონფერენციაში მონაწილეობდნენ რექტორი პროფ. გ. ღვთაძე, რექტორის აპარატის უფროსი პროფესორი რ. კოპალიანი, აგრარული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ქ. კინწურაშვილი, აგრარული ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსები, ფაკულტეტის თანამშრომელები და სტუდენტები-ბაკალავრები, მაგისტრები და დოქტორანტები.

კონფერენცია მიესალმა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. მარგველაშვილი.

კონფერენცია წარიმართა შემდეგი დღის წესრიგით:

1. კონფერენციის გახსნა - **პროფესორი გიგა ღავთაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;

2. **პროფესორი როლანდ კოპალიანი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აპარატის უფროსი, თემა: "სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულების ეკონომიკური და ეკოლოგიური ასპექტები".

3. **აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი** - აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;თემა: "ნიადაგის ნაყოფიერების მართვა ორგანული და ინტენსიური მიწათმოქმედების პირობებში".

4. **აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე** - აკადემიის აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;თემა: "აგროსაინჟინრო სექტორის პრიორიტეტები თანამედროვე ეტაპზე".

5. **აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი** - აკადემიის სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;თემა: "სურსათის უვნებლობის ევროპული პრინციპები".

6. **აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე** - თემა: "მეაბრეშუმეობის აღორძინების პერსპექტივები საქართველოში";

7. **აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია** - აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;

თემა: "საქართველოს კვების მრეწველობის საექსპორტო პოტენციალი და მისი ამოქმედების ინოვაციური ტექნოლოგიები";

8. **აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი** - თემა: "საქართველოში გავრცელებული ცხოველთა ინფექციური დაავადებები".

9. **აკადემიკოსი რეზო ჯაბნიძე** - თემა: "იაპონიიდან ინტროდუცირებული მანდარინის საადრეო ჯიშების ზრდა-განვითარების თავისებურებანი აჭარაში".

კონფერენციის მონაწილეებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის საველე ლაბორატორია, სადაც აგრარული ფაკულტეტის მეცნიერების მიერ აღდგენილია და სასელექციო მუშაობა მიმდინარეობს სუბტროპიკული კულტურების უნიკალურ ჯიშებზე.

კონფერენციის დასასრულს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფ. გ. ღავთაძეს და რექტორის აპარატის უფროსს, პროფ. რ. კოპალიანს გადაეცათ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო სიგელები აგრარულ დარგში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების აღზრდის საქმეში შეტანილი წვლილისათვის.

საიუბილეო გამსვლელი სამეცნიერო კონფერენცია გორში

2017 წლის 28 ნოემბერს გორის ევრორეგიონულ სასწავლო უნივერსიტეტში გაიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: "შიდა ქართლის და სამცხე -ჯავახეთის აგრარული სექტორის თანამედროვე პრობლემები და მათი დაძლევის პერსპექტივები".

კონფერენცია მიეძღვნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დაარსებიდან 60 წლისთავს. აღსანიშნავად საიუბილეო ღონისძიებების ჩატარების გეგმის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ამ ორ ორგანიზაციას შორის გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი, სადაც ერთობლივ კონფერენციებში მონაწილეობა სწორედ მემორანდუმის პუნქტებით არის გათვალისწინებული.

კონფერენციის მუშაობაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან მონაწილეობა მიიღეს აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა აკად. ე. შაფაქიძემ, პრეზიდენტის მოადგილემ დოქტ. ა. გიორგაძემ, აკადემიკოსებმა ნ. ჩხარტიშვილმა, ი. ვასაძემ, ვ. კვალიაშვილმა, აკადემიის სწავლულმა მდივნებმა – დოქტორებმა მ. ბარვენაშვილმა და რ. ლოლიშვილმა, აგრეთვე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრიდან დოქტ. ნ. კაკაბაძემ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან დოქტ. ზ. ტყებუჩავამ; ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის მხრიდან კონფერენციაში მონაწილეობდნენ რექტორი პროფ. ვ. სუხიშვილი, პრორექტორი სამეცნიერო დარგში, პროფ. ა. ლაფაჩი, უნივერსიტეტის თანამშრომელები და სტუდენტები-ბაკალავრები და მაგისტრები.

კონფერენციას მიესალმა გორის ვიცე-მერი, ქალბატონი ეკა სუხიშვილი.

კონფერენცია წარიმართა შემდეგი დღის წესრიგით:

1. კონფერენციის გახსნა - **პროფესორი ვალერი სუხიშვილი,** ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;



2. აკადემიკოსი **ელგუჯა შაფაქიძე** - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი. თემა «საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის განვლილი 60 წელი, მიღწევები და პერსპექტივები";

3. პროფესორი **ვალერი სუხიშვილი (ერსუ)** - თემა: "ბოსტნეული კულტურები, მისი სასურსათო მნიშვნელობა და რენტაბელობის საკითხები";

4.აკადემიკოსი იუზა ვასაძე (სსმმა) -თემა: მეხილეობის თანამედროვე მდგომარეობა შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში;

5.**აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი (სსმმა)** - თემა: “ხილი მხოლოდ ნაყოფი არ არის”;

6.**აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი (სსმმა)** - თემა: “მევენახეობა და მეღვინეობა ქართლსა და მესხეთში”;

7.**პროფესორი ავთანდილ ლაფაჩი (ერსუ)** - თემა: “აგრარულ სექტორში დაბანდებული ინვესტიციების უკუგების ოპტიმალური მოდული (შიდა ქართლის მაგალითზე)”;

8.**დოქტორი ნატო კაკაბაძე (სმსკცენტრი)** - თემა: “ ბოსტნეული კულტურების გენეტიკური რესურსები, დაცვა-კონსერვაცია”;

9.**პროფესორი ზაქარია გინტური (ერსუ)** - თემა: “აზიური ფაროსანას გავრცელების პრობლემები და მის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები”;

10.**პროფესორი ნანა ალავერდაშვილი (ერსუ)** - თემა: “მავნებლების წინააღმდეგ მცენარეული ნაყენების გამოცდის შედეგები”;

11. **დოქტორი ზაირა ტყებუჩავა, მაგისტრი თენგიზ ფასანიძე (სჯსუ)** - თემა: “მებოსტნეობის მდგომარეობა სამცხე-ჯავახეთში”.

კონფერენციის მონაწილეებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსი-სასწავლო ლაბორატორიები,თემატური კაბინეტები, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი და ა.შ., რომლებმაც მოწვეული სტუმრების დიდი მოწონება დაიმსახურა.

კონფერენციის დასასრულს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს, პროფ. ვ. სუხიშვილს გადაეცა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დაარსებიდან 60 წლისთავის საიუბილეო მასალების კრებული, ხოლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას - აკადემიის წევრების მიერ დამუშავებული წიგნები: „მევენახეობა-აგროტექნოლოგია“ და „ხეხილის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები“.

სტუმრად ჩინელ მეცნიერებთან

2017 წლის 29 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე ჩინეთის ჯანსუს პროვინციაში ჩატარდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კონფერენცია თემაზე: "თანამედროვე სასოფლო - სამეურნეო ინოვაციების ფორუმი".

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 1000-მდე მეცნიერმა, მათშორის: სამხრეთ კორეის, ვიეტნამის, ავსტრალიის, ბანგლადეშის, ინდოეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, პოლონეთის, ბელორუსიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ჩინეთის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა.

კონფერენციაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ჯიანსუს პროვინციის მთავრობამ, მისი გუბერნატორის ბატონი ვუჩენგ ლონგის ხელმძღვანელობით.

კონფერენციის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე სხდომა, მელთა მუშაობაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გურამ ალექსიძემ. მის მიერ გაკეთებული იქნა ორი სენება თემაზე: "აგრობიომრავალფეროვნება საქართველოში"; პირველად იგი ჩატარდა "მეცნიერებისა და ბიზნესის" ფორუმზე, რომელსაც ესწრებოდა დაახლოებით 200-მდე მონაწილე, ხოლო მეორედ ჩინეთის აკადემიის პრეზიდენტის თხოვნით განმეორდა უკვე აკადემიის წევრებისათვის, რომელსაც დაესწრო კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლები (100-მდე სპეციალისტი).

ამას გარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ მონაწილეობა მიიღო კონფერენციის ფარგლებში ჩატარებულ გამოფენაზე, სადაც წარმოდგენილი იქნა მონაცემები ახალი ხორბლისა და ტრიტიკალეს ჯიშებზე, მექანიზაციაში, მეაბრეშუმეობაში, ვეტერინარიაში და აგრეთვე გადამამუშავებელ მრეწველობაში. სტენდმა ჩინელი სპეციალისტების ყურადღება დაიმსახურა.

აკად. გ. ალექსიძის მიერ აგრეთვე მიცემული იქნა ინტერვიუ ჩინეთი - საქართველოს ურთიერთობებზე ადგილობრივი ტელევიზიისათვის.

მომავალში გათვალისწინებულია ჩინეთის სოფლისმეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებს შორის ურთიერთობის გაღრმავება, რასაცსაფუძვლად შეიძლება დაედოს აზიური ფარასანას წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური საშუალების (ენტომოფტორული სოკოების) ერთობლივი კვლევა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკად. გურამ ალექსიძე კონფერენციის ფარგლებში ჩატარებულ გამოფენაზე სსმმ აკადემიიდან წარდგენილ სტენდთან (2017 წლის 3 დეკემბერი, ჩინეთი, ქ. ნანჯინგი).

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ახალი წევრებით შევსება

2017 წლის 28 დეკემბერს ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსად) ასარჩევ კონკურსში (სპეციალობა - 0101 აგრონომია, სპეციალიზაცია 010103 - "აგროტექნოლოგია"; სპეციალობა - 0415 აგროინჟინერია, სპეციალიზაცია 041502 - "სოფლის მეურნეობის მექანიზაცია"; სპეციალობა 0104 - "სასურსათო ტექნოლოგია") მონაწილე კანდიდატების შესახებ.

მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე.

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიულ, აგროსაინჟინრო და სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილებების ვაკანტურ ადგილებზე აკადემიკოსების (ნამდვილი წევრების) არჩევნების მაღალორგანიზებულ დონეზე მომზადებისა და ჩატარების მიზნით, აკადემიის პრეზიდენტის ბრძანებით (01/51 16.11.17.) შექმნილი საექსპერტო-საკონკურსო კომისიის დასკვნის შესახებ.

მომხსენებელი: საექსპერტო-საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა.

3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიულ (სპეციალობა 0101 აგრონომია, სპეციალიზაცია 010103 "აგროტექნოლოგია), აგროსაინჟინრო (სპეციალობა 0415 აგროინჟინერია, სპეციალიზაცია 041502 "სოფლის მეურნეობის მექანიზაცია") და სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების (სპეციალობა 0104 "სასურსათო ტექნოლოგია") სამეცნიერო განყოფილებების ვაკანტურ ადგილებზე აკადემიკოსების (ნამდვილი წევრების) არჩევნები.

ფარული კენჭისყრის საფუძველზე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე სამეცნიერო განყოფილებების ვაკანტურ ადგილებზე აკადემიისნამდვილი წევრებად (აკადემიკოსებად) აირჩიეს:

აგრონომიულ სამეცნიერო განყოფილებაში - სპეციალობა - 0101 აგრონომია, სპეციალიზაცია 010103 "აგროტექნოლოგია":

როლანდ კოპალიანი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ა.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აპარატის უფროსი, აგრარული ფაკულტეტის სუპტროპიკული კულტურების დეპარტამენტის სრული პროფესორი.

აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილებაში - სპეციალობა 0415 აგროინჟინერია, სპეციალიზაცია 041502 "სოფლის მეურნეობის მექანიზაცია" :

ზაურ ფუტკარაძე, - დოქტორი (ინფორმაციული ტექნოლოგიები, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია), ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელი.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილებაში - სპეციალობა 0104 "სასურსათო ტექნოლოგია" :

თემურ რევიშვილი, - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ა(აიპ) საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი, საინჟინრო-ტექნოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭო ულოცავს გამოჩენილ მეცნიერებს აკადემიის ნამდვილ წევრებად (აკადემიკოსებად) არჩევას.

მეოთხე კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 8 საკითხი. მათ შორის: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთა (ნამდვილ წევრთა) ვაკანტურ ადგილზე არჩევნების გამოცხადების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე;** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთა (ნამდვილ წევრთა) არჩევნების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით საექსპერტო-საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე;**

ინფორმაცია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის "მევენახეობა და მეღვინეობა ევროპის ქვეყნებში, ისტორიული ასპექტები და პერსპექტივები" შედეგების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე;**

ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით ჩატარებული გასვლითი სამეცნიერო კონფერენციის შესახებ (ბათუმი, ქუთაისი, გორი). - **მომხსენებელი: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე.**

ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად ასარჩევად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე რანდიდატთა შემოსული დოკუმენტაციის შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე.**

განხილულ ცალკეულ საკითხებზე, რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებისათვის ეცნობოდა ზემდგომ ორგანოებს.

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორი: *სსმ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი-აკადემიკოსი, **აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე***

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორის მოადგილე: *სსმ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, სოფლის მეურნეობის **დოქტორი ანატოლი გიორგაძე***

გაზეთ "აკადემიის მაცნეს" პასუხისმგებელი მდივანი: *სსმ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, **ტექნიკის დოქტორი გივი მოსაშვილი***

"აკადემიის მაცნე" - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" დამატება. "News of Academy "- addition of a scientific magazine "Moambe" of The Academy of Agricultural Sciences of Georgia.